საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 159
1877
ივლისის 27, კვირა 1903 წ.

ივერია

№ 159
1903
ივლისის 27, კვირა 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 ვით—1 მან. 50 კაპ.

ისყიდება სურამში
იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი სააგარაკო ადგილები
„სანზეიძე“
თვისის მდებარეობით და ჰავით ჰსჯობია ყველა სააგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.
მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „პარკი“ ფიჭვისა მუხისა, დაპირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:
სურამში: კნეინა ევა გიორგის ასულს ჩხეიძისას,
ტფილისში: „ივერიის“ რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში ერევნის მოედანი, სახლი № 2). (30—22).

ჟირარდის მანუფაქტურების საქც. საზ.
საწყობი
სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა
მრავლად მიღებულია საზაფხულო სეზონისათვის:
საქალო მატერიები: ბატისტი, სატინა, მუსლინი, კრისტა, ლინი, არჟუან ტინი, მერველიე, ბრომე, ბროდე ზოლიანი, პლიუმტი, ლევანტინ-ფულიარი, ფერადი ტილო.
საკიტელო მატერიები: კოლომენკა, რაგოჟა, ეშმაკის ტყავი-მოლესკინი, პა რუსინა გიმნაზიელთა ბლუზებისათვის.
საფარდეგო ტილო და ტიკი ფარდაგისა და მარკიზებისათვის
საბანაო ზეწრები, ხალათები და სხვა კუთვნილებანი
ნიმუშები უფასოდ ეგზავნებათ მსურველთ.
დონნერი და ლეიტცი. (100—67)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა
აცხადებს
მთარგმნელთა საყურადღებოდ,

რომ გასამრჯელო მთარგმნელებს მიეცემათ მხოლოდ იმ პიესების თარგმანში, რომელიც წინადვე გადასათარგმნელად გამგეობის მიერ მოწონებული იქმნება. მსურველთ შეუძლიანთ წარუდგინონ გამგეობას სათარგმნელად არჩეული პიესა და, თუ გამგეობამ მოიწონა, მთარგმნელს, გადათარგმნის შემდეგ, გასამრჯელო მიეცემა, თუნდაც პიესა შემდეგ სეზონში ვერ დაიდგას სცენაზედ.
(5—უ.—5)

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა
ამით აცხადებს, რომ მსურველთათვის დანიშნულია 19 აგვისტოს
გამოსაცდელი წარმოდგენა
ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ თეატრის კანტორაში დღეიდან 5 აგვისტომდე, ყოველ დღე დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე.
(7—6)

ზემო ავჭალაში, ბაქანს ახლო, იყიდება
სააგარაკო ადგილი,
რომელზედაც ვენახია გაშენებული, 1.000 ჩორსო საჟენი. ფასი 2.500 მან. შეიძლება გაიყიდოს პატარა ნაკრებადაც, 100—200 ჩორსო საჟენი. ფასი საჟენისა 2—3 მანათი. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის“ რედაქციაში. (10—8)

ტფილისში, ავჭალის ქუჩაზედ,
იჯარით იძლევა
დიდი სახლი, რომელიც სასტუმროდ შეიძლება გადაკეთდეს. ქვემო სართულში სავაჭრო დუქნებია. შემოსავალი 10.000 მანეთს აღემატება. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის“ რედაქციაში.
(10—8)

ქართული წიგნის მაღაზია
გაიხსნა ავჭალის ქუჩაზედ, რეუტოვის ქუჩის კუთხეში, პაპოვის სახლში, სადაც ისყიდება ყოველნაირი ძველი და ახალი ქართული წიგნები. აქვე ყიდულობენ ძველს წიგნებს, სხვა ენებზედ დაბეჭდილსაც. (10—9)

კერძო სამკურნალო
ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა
კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9
მიხეილისქუჩიდან-კი № 34.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვების და ელექტროტერაპია 11—1 ს.
ზრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.
(წ.)
46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდე-ავადმყოფობანი.
ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. მძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. გ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთობით და შაბათობით.
საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.
მ. ხ. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.
ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა 7—7— საათამდის, ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. 7½ 8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.
ს. ტ. არზანიტაძე. 11—1 ს. გათებსსაუკეხლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Воронцова
(წლ.

ტფილისი

◆ იმ შენობის გეგმა, რომელიც უნდა ააგოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ, უკვე დაუმზადებია ჩვენს ხუროთ-მოძღვარს ს. კლდიაშვილს. გეგმას ამ დღეებში განიხილავს ცალკე კომისია და, მოწონების შემდეგ, მუშაობასაც შეუდგებიან.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთ-ერთს ბოქაულს ქართლში შემდეგი განკარგულება მოუხდენია: ამ კალოობის დროს კანონით ნება არა აქვს არც ჩარჩს, არც ვაჭარს მივიდეს გლეხთან და აირწყოს პური ან თავნში ან სარგებელში. გლეხებმა ჯერ უნდა სახელმწიფო ხარჯი გადიხადონ, დააკმაყოფილონ მემამულე, მღვდელი და სხვა სოფლის მოხელენი, დაიტოვონ თვითონაც წლის სამყოფი სარჩო და, თუ დარჩებათ რამე ყოველ ამის შემდეგ, მხოლოდ ის შეუძლიან აირწყოს ვაჭარმა, ანუ ჩარჩმა და სხვა ყოველგვარმა მოვალემ გლეხის წლიურ მოსავლიდან მართებლობის გასასტუმრებლადო.

◆ მერვე მსროლელთა ბატალიონი, რომელიც 1888 წლიდან დუშეთში სდგას და ახლა ერევანში გადიყვანეს, გავა დუშეთიდგან 29 ივლისს. დუშეთის საზოგადოება დღეს, 27 ივლისს გამოსათხოვარს სადილს უმართავს ბატალიონის ოფიცრობას. როგორც მოხსენებული გვქონდა, ამ ჯარის მაგიერ დუშეთში მივა ახალ-ბაიაზეთის პოლკი. ახალს პოლკს შტაბი ეყოლება ქ. დუშეთში, ხოლო ერთი მისი ბატალიონი იდგება გორს და ერთი როტაც—ანანურს.

◆ უმაღლეს მთავრობას განზრახვა აქვს ნება მისცეს ქალაქის სამმართველოებს აღუკრძალოს კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობა იმ დუქნებსა და მაღაზიებს, რომელთათვისაც ამას თვით ქალაქი დაინახავს საჭიროდ.

◆ შინაგანს საქმეთა სამინისტროში მსჯელობაა ამ ჟამად, რომ განკარგებულ იქმნას შეგირდობის მდგომარეობა სახელოსნოებში.

◆ აგვისტოში იქნება საზოგადო სატარიფო კრება რკინის გზების ყველა წარმომადგენლებისა. ამ კრებამ უნდა განიხილოს სხვათაშორის ის, თუ როგორ შეიცვალოს ძირეულად ტარიფიყოველგვარ ღვინის გადატან-გადმოტანისა.

◆ გაზ. „ნოვ. ობ.“-ესა სწერენ დეპეშით ბაქოდან, რომ ბიბი-ეიბათს ამ სამის დღის წინად გაჩენილი ცეცხლი ჯერაც არ გამქრალა. ჩრდილოეთის ქარი ჰქრის და უფრო აძლიერებს ცეცხლს. ცეცხლისაგან მთლად ქალაქია გაშუქებული.

◆ იქმნება ახსომდეთ ჩვენს მკითხველებს, რომ ამ 10—15 წლის წინად სახელმწიფო ქონებათა უწყება ქალაქის სამმართველოს უთმობდა მუშტეიდის ბაღსა, ოღონდ-კი რიგიანად მოუარეო. ქალაქმა არ ინდომა, ხარჯი დიდი არის და შემოსავალი-კი მცირეო. მას შემდეგ მუშტეიდის ბაღი ალაგ-ალაგ გაიჩეხა და უზარმაზარის ხეების ნაცვლად დიდის შენობებით დამშვენდა, სადაც ქეიფ-ფუთკარი გააჩინეს. ეხლა ზოგი მოქალაქეთაგანი ჰკუაზე მოსულა და ქალაქის სამმართველოს ურჩევენ იშუამდგომლოს, რომ ქალაქს მუშტეიდის ბაღის ნაწილი მაინც დაეთმოს, რაც საბრეშუმო სადგურს არ ესაჭიროება.

◆ ამას წინად ნავთი ძალიან გაძვირდა, გირვანქა 7—8 კაპიკამდე ავიდა. ეხლა ფასი ისევ დაეცა და ფუთი წინანდებურად ექვს-შვიდ აბაზად იყიდება.

◆ წევრი სამთამადნო კომიტეტისა და ინსპექტორი სამთო ნაწილისა ბ-ნი ურბანოვიჩი კავკასიაში მოდის, სამსახურისა გამო, მარგანეცისა და ტყვიის მადნების დასათვალიერებლად და გამოსაკვლევად, როგორ სწარმოობს ეს მრეწველობა.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა ივანოვსკიმ 50 მანეთი დაუნიშნა საჩუქრად უფროს მუშას შენგელიას, რომელმაც ამას წინად რელსების დაშლა შენიშნა რკინის გზის ლიანდაგზედ და მატარებელი შეაჩერა.

◆ ტფილისის სახელმწიფო თეატრის დირექციის თავმჯდომარედ გენერალი ეროფეევი დაუნიშნავთ, წევრად ანუ დირექტორად პოლკოვნიკი აკიმოვი, ხოლო მესამე წევრი—დირექტორი ჯერ არ არის დანიშნული.

◆ სახემწიფო თეატრის ანტრეპრენერი არტისტი ფაგნერი ტფილისს ჩამოვიდა

◆ გუშინ-წინ, ნაშუადღევს 5 საათზე, გრიბოედოვის ქუჩაზე, გეურქოვის სახლს ცეცხლი წაეკიდა. ამ სახლის მესამე სართული ქ-ნ ივანიცკისას უჭირავს, რომელიც ამ ჟამად კოჯორშია. სახლის მოწყობილობა და ავეჯი ქ-ნ ივანიცკისას ერთს ოთახში დაუწყვია და მოახლისათვის ჩაუბარებია. ცეცხლი სწორედ ამ ოთახში გაჩენილა. მეზობლებს და პოლიციას მალე შეუნიშნავთ და ჩაუქრიათ საპოლიციო უბნის მოხელეს მაშინვე ყურადღება მიუქცევია ერთ სავარძლისათვის რომელსაც ცეცხლი ეკიდა და ნავთის სუნი სდიოდა. პოლიცია ამ საეჭვო გარემოების გამოკვლევას შესდგომია, ხოლო ქ-ნ ივანიცკის მოახლე ისევ იმ სახლში დაუტოვებია. დილის 5 საათზე ცეცხლი კვალად გაჩენილა და გაძლიერებულა. საჩქაროდ ცეცხლის მქრობელი რაზმი დაუბარებიათ და დილის 8 საათამდე ცეცხლი ჩაუქრიათ. დიდი ალიაქოთი შეექნათ გეურქოვის სახლის მდგმურებს. ქონებას არც-კი ჩიოდნენ, ოღონდ თავი და ცოლშვილი გადავარჩინოთო. დაიწვა ჭერი, აივანი და ხუთი ოთახი გეურქოვის სახლისა. ქ-ნ ივანიცკის ქონება თურმე დაზღვეულია „რუსეთის საზოგადოებაში“ 2750 მანათად. მოახლე პოლიციამ დააპატიმრა. გამოძიება სწარმოებს. სახლის პატრონის ზარალი 7,000 მანათია.

◆ 25 ივლისს ღამე, სადგურ ძირულას ახლო საქონლის მატარებელი კინაღამ დაიმსხვრა. გზის დარაჯს შეუნიშნავს, რომ ერთს ადგილს რელსები აშლილიაო, და მატარებელი გაუჩერებია.

იმ გზის დარაჯს (კ. ბაქრაძე), რომელმაც 23 ივლისს ყარსისკენ მიმავალი რკინის გზის მატარებელი გააჩერა, რადგანაც რელსები აშლილი იყო, ნავთლუღის სადგურის უფროსმა 25 მანათი აჩუქა. მგზავრებმაც შეჰკრიბეს თურმე 20 თუმანი და სადგურის უფროსს ჩააბარეს, დარაჯი დააჯილდოვეო.

◆ ჟანდარმთა კორპუსის კომანდირს და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ფონ-ვალს დაუთვალიერებია ბაქოში ბალახანისა, რამანისა და ბიბი-ეიბათის ნავთის ქარხნები და მოწყობილებანი. ბ-ნ ფონ-ვალს ორშაბათს მოელიან ტფილისში.

◆ ქრისტეანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორი ევტიხი მამინაიშვილი ამ დღეებში პეტერბურგს მიემგზავრება.

◆ ქალაქ ზუგდიდს, 1903 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ათის წლის განმავლობაში პოლიციის შესანახი ფული ნაკლები გადახდება, ვიდრე აქამდე. წელიწადში ზუგდიდმა ამიერიდან უნდა გაიღოს 650 მანეთი.

◆ ჩვენ მოგვივიდა ორი ახალი წიგნაკი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ გამოცემული: „წიგნის ისტორია“, შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ. ამ წიგნაკში მოთხრობილია ამბავი მწერლობის დასაწყისისა და დახატულია პირვანდელი ნიშნები ძველის მწერლობისა. შემდეგ განმარტებულია, როგორ გაძლიერდა მწერლობა და მწიგნობრობა განსაკუთრებით იმ ჟამიდგან, როცა წიგნის ბეჭდვა მოიგონეს. ეს წიგნაკი ღირს ერთი აბაზი.

„რობინზონ კრუზე“, გადმოკეთებული ქართულად ანასტასია თუმანიშვილისმიერ, მეორე გამოცემა. ამ წიგნაკში მრავალი სურათია; ფასიც შესაფერია—ექვსი შაური.

◆ ჩვენ მივიღეთ ახალი რუსული წიგნაკი „თამარ მეფე“ აკაკისა, გამოცემული ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიის მიერ ქუთაისში. ფასი წიგნაკისა ერთი შაურია.

ქართული თეატრი და მისი რეჟისურა.

ჩვენ სამართლიანად გვისაყვედურეს, რატომ იმაზე არა სთქვი რა, რაც ეხლა გამგეობას შემოუღია რეჟისურაშიო და რაც ზოგიერთ გაზეთში უკვე გამოცხადდა, ვითარცა უებარი საშუალება „სარეჟისორო კრიზისის“ წინაღმდეგ—მორიგეობით რეჟისურაზეო.

უკაცრავად-კი ნუ ვიქნები გამგეობის წევრთა და ზოგიერთ რეცენზენტის წინაშე, მაგრამ უკეთ ამათ უნდა მოაგონონ, რომ რეჟისორობა მორიგეობით ჩვენთვის სულაც

არ არის ახალი ამბავი და ვინც ქართულ სცენისათვის მორიგ რეჟისურას უებარ მალამოდ სთვლის, იგი ორნაირად სცდება—პირველად როგორც ავტორი და მეორედ, როგორც მრჩეველი ამგვარ რეჟისურისა.

საქმე ის არის, რომ, თუ მეხსიერება არ გვღალატობს, მორიგი რეჟისორობა ჩვენს სცენაზე შემოღებულ იყო პირველად ამ ხუთისა თუ ექვსის წლის წინად და მორიგ რეჟისორად ბრძანდებოდნენ ჩვენის დასის ორნი წარჩინებულნი მსახიობნი ბ-ნნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი. ასე რომ ავტორობა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ინიციატივა ასეთის რეჟისორობისა, ყოველ შემთხვევაში, დღეგანდელ ავტორებს არ ეკუთვნით. ხოლო მეორე—რავდენად უებარია ეგ მორიგი რეჟისორობა, ამაზე ეხლავე მოგახსენებთ.

მართლაც და, რა არის ეგ მორიგი რეჟისურა? რაშ შექმნა იგი, რის მომქმედია და რას უნდა მოველოდეთ მისგან? ამ საგნების განმარტებასთან ერთად ჩვენ კვალ-და-კვალ უოველს ჩვენს დასკვნას შესაფერს მაგალითსაც ამოუყენებთ გვერდში.

1900 წლის სეზონის დაწყების პირველსა თუ მეორე თვესვე გაზეთებმა გვაუწყეს, რომ პეტერბურგის ალექსანდრეს საიმპერატორო თეატრში დაწესდა, ეგრედ წოდებული, მორიგი რეჟისორობა, განაწილებული პირველ მსახიობთა შორისა... და, თუ არ ვსცდები, მგონი ეს მეორე სეზონი თავდება, რაც პეტერბურგს მოსკოვმაც მიბაძა და იქაც პატარა საიმპერატორო თეატრში მორიგი რეჟისორობა შემოიღეს „პრემიერთა“ შორის... აი ასე გახდდათ მორიგ რეჟისორობის ამბავი ჩვენსა და რუსეთის ორსავე სატახტო თეატრში, მაგრამ რა დასამალია, რომ უპირატესობა მაინც ჩვენს სცენას ეკუთვნის, რადგან, როგორც ზემოდ იქმნდით დაინახავდით, პირველად მორიგი რეჟისურა შემოუღიათ ჩვენში.

ახლა ვიკითხოთ, რა მიზეზმა და რა გარემოებამ შექმნა ჯერ ჩვენში და მერე ჩვენს წაბაძვით პეტერბურგსა და მოსკოვში ეგ ვითომდა უებარი მორიგი რეჟისორობა?.. ჩვენში, ვსთქვათ, იმ თავითვე არ იყო და დღესაც არ არის შესაფერი რეჟისორი კერძო კაცთა შორის და იმიტომ, რაკი სხვა გზა არა გვქონდა, მორიგეობას დავადექით რეჟისურაში, მაგრამ დაგიჯეროთ, რომ უსამზღვრო რუსეთში და ისიც ორს სატახტო ქალაქში და მათ საუკეთესო საიმპერატორო თეატრებისათვის ვერ გამოსძებნეს შესაფერი რეჟისორი, განათლებული და გასწავლული, ნიჭიერი და გამოცდილი, რომელსაც ღირსეულად შესძლებოდა ღირსეულ სცენის გამგეობა-რეჟისორობა?!

მერე ისიც რა ნაირ სცენაზე? სადაც ყველაფერი უხვად და ჭარბად არის, სადაც მსახიობთა რიცხვი და ვინაობა სამაგალითო და თითით საჩვენებელია მთელის რუსეთისა! ნუ თუ, ვიმეორებთ, შესაძლებელია დავიჯეროთ, რომ რუსეთის მთავრობამ ვერ მოუპოვა თავის თავ-მოსაწონებელ თეატრებს შესაფერი რეჟისორი?! ოდონდაც რომ დაუჯერებელია და ხურც დავიჯერებთ, რადგან რუსეთში ამ ჟამად ბევრია ცნობილი და სახელ-მოპოვებული რეჟისორი და, შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია დავასახელოთ თუნდა მოსკოვის სალიტერატურო-სამხატვრო თეატრის რეჟისორი ბ-ნი სტანისლავსკი.

ჩვენი აზრი რომ უფრო საბუთიანი ეჩვენოს მკითხველს, ცოტათი გზას ავუხვევთ ჩვენს საუბარს და შევუთითებთ ამ რვა თუ ცხრა წლის წინად ვიქტორ კრილოვის გამოსულ წიგნზე „სათეატრო საქმე ევროპაში“ („Очеркъ театральнаго дѣла въ Европѣ“), რომელშიაც დაწვრილებით აღნუსხულია ყველა, ცოტად თუ ბევრად, ცნობილი თეატრი ევროპისა, მათი წეს-რიგი, რეჟისურა და რეპერტუარი და ჩვენ ვერსად ვერ შევხვდით იმ წიგნში „მორიგ რეჟისურის“ არსებობას.

რუსეთის ორსავე სატახტო სცენებზე დიდის ხნიდან სხვათა შრავალთა თვალსაჩინო და სამაგალითო ღირსებათა შორის დამკვიდრებული იყო ტრადიციები, რომლის ძალითაც პირველობა და პრემიერობა იყო დაჩემებული რამდენისამე ნიჭიერისა და სახელოვან მსახიობთა მიერ. ხოლო თუ მკითხველებს ახსოვს, ჩვენ საკმაოდ განვმარტეთ მეორე წერილში, თუ რავდენად ხელ-შემშლელი და მავნებელია საქმის რიგიანის მსვლელობისათვის დამაგვირგვინებელი პირველობა და მისგან წარმომდგარი ყოველივე აგზნება და თავხედობა.

ჩვენს სცენას-კი რეჟისორი ფაქტიურად არას დროს არ ჰყოლია და არც საჭიროებია: დაარსდა თუ არა სამუდამო სცენა, ჩვენმა საზოგადოებამ, თითქმის ერთხმად გამოარჩია დიდად ნიჭიერნი და იმკათის ხელოვნების მსახიობნი, ქალნი და კაცნი. ამ გარემოებამ ხება უხვიერად შექმნა ამ ნაკიერ მსახიობთა,—თუ შეიძლება ასე ვსთქვათ,—„განატოხებული მდგომარეობა“ და ხშირად, უხასიათობისა თუ განუკვითარებლობისა გამო უმართებულობა და ძალმომრეობა იმ ძვირფას საქმის წინაღმდეგ, რომელსაც თვითონვე სიამაყით ემსახურებოდნენ და რომელიც, ცოტად თუ ბევრად, არჩენდა კიდეც ამ მსახიობთ.

ჩვენში რეჟისორის თვით მოქმედი ძლიერება იმ თავითვე გარდაიქცა უბრალო თანამდებობად. ვერც ერთმა რეჟისორმა, თვინიერ მიხეილ პეტრეს ძის ბებუთაშვილის მეტმა, ვერ დააღწია თავი დაჯაბნილ მდგომარეობას და, იმიტომ კი არა, ხასიათის სიმტკიცე, ცოდნა და ნიჭი არ ჰქონდათ; არა, ვერ გასწორეს საზოგადოების „პირველნი“ მსახიობნი. ჩვენს მსახიობთ საოცარის სიადვილით შემოუფერნებიათ და მიუცილებიათ თეატრისათვის ისეთნი პატივცემულნი კაცნი, როგორც ილია ჭავჭავაძე, გიორგი თუმანიშვილი, დავით ერისთავი, რაფიელ ერისთავი და სხვანი!..

ჩვენი სცენა დღესაც დამყარებულია ძველს ანდერძზედ—მსახიობთა ჟინსა და თვითნებობაზე (მაგალითების მოყვანა საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგან გვჯერა, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ უჩვენოდაც იცის მრავალი უსიამოვნება ჩვენის პრემიერებისა). ჩვენს სცენაზე დასი-კი არ მოქმედობს, ვითარცა კრებული და შედუღებული ძალა, არამედ რამდენიმე კაცი გინა ქალი, რომელთაც, სახატოდ ამაღლებულთ, გარს ახვევიან დანარჩენნი მსახიობნი... ესეთი წესი, ესეთი სისტემა ოცდახუთი წელიწადია არსებობს და ჩვეულებად გადაქცევია ყველას: მსახიობთ, გამგეებთ, ჟურნალისტებს და პუბლიკასაც... ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო და იმიტომ რად უნდა გვიკვირდეს, რომ ყოველთვის წრე უფრო ძლიერია, ვიდრე თითოეული მომქმედი, ბრბო უფრო ძალ-მომრეობა, ვიდრე მისი წინამძღოლი და არსებული სისტემა—რუტინა ბევრად მძლავრი და ღონიერია, ვიდრე საქმის კაცი. ბევრის ხნიდან გამრუდებულ საქმეს ბევრი ხნის რანდვა და მადამიანის სმა უნდა. დიდი ცოდნა, რჯულად ქცეულ მავნე ჩვეულებისათვის პასუხის მგებლობა მოვსთხოვოთ ახლად ნაყენებულს გამგებელს—რეჟისორს.

რომ ვერ იქმნა და ვერ იჩაშეს ვერც ერთი რეჟისორი ვერცა ჩვენში და ვერც მოსკოვ-პეტერბურგის საიმპერატორო თეატრებში,—რომლებთანაც ჩვენ გვაერთებს ბიუროკრატიზმი,—თეატრის ბედ-იღბლის გამგეებსა ღობე-ყორეს მოდებენ, პალიატივ საშუალებას მიჰმართეს, ესე იგი, მორიგ რეჟისორობას. აქედან აშკარაა, რომ მორიგი რეჟისურა პირმშო შვილია პრემიერების ძალმომრეობისა.

მართლაც, ვინ არიან მორიგი რეჟისორნი, თუ არ ისევ ის პრემიერები, რომელნიც ვერც ერთს კალაპოტში ვერ თავსდებიან, თუ არ თავიანთ „საკუთარში“! ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ახლამდის თუ ცოტათი მაინც წეს-რიგი და სამართლიანობა სუფევდა ჩვენს სცენაზე, დღეის იქით, მორიგ რეჟისურის წყალობით, ესეც გაქარწყდება და დამყარდება ისეთი ანარქია, რომლის მსგავსი არა თუ არ გვენახოს, გაგონებითაც არ გაგვეგონოს... თორემ ადგომა და ხვალთ!

ზოგი შემდეგ იყოს.

სცენის მოყვარე.

ჩვენებური ამბები.

ალისუბანი (შორაპნის მაზრა). აქ მოწაფეების წლიური გამოცდა დაიწყო 18 მაისიდან და გასტანა 5 ივნისამდის. გამოცდას დაესწრო შორაპნის მაზრის სკოლების მეთვალყურე მღვდელი მ. სიმონ მჭედლიძე, რომელიც ძლიერ კმაყოფილი დარჩა სკოლის საქმეების წინმსვლელობით.

მ. მჭედლიძის მეთაურობით ეგზამენების გათავების შემდეგ, 5 ივნისს, უფროსი კლასელები გაემგზავრნენ მდინარე ძერულის სათავის დასათვალიერებლად (სოფელ ძევრში). მოწაფეებს თან გაჰყვა მეთვალყურე, სკოლის მმართველი მღ. მ ვლადიმერ სალაძე და მასწავლებელნი თავიანთ ოჯახობით. ყველანი წინადვე გრძნობდნენ სიამოვნებას. მოწაფეთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; სკოლიდან დაძვრისთანავე მგალობელთა გუნდმა სიმღერა შემოსძახა, რაც არ გაწყვეტილა მთელ მგზავრობის დროს, გარდა იმ წუთებისა, როცა მ. მეთვალყურე და მასწავლებელნი ებაასებოდნენ მოწაფეებს სხვა-და-სხვა საგნებზე.

გზაზე გაიარეს დაბა ჩხარში ისტორიულ სიძველეთა სანახავად; აქ ადგილობრივმა მღვდელმა მ. მოსე ჯუღელმა გააღო წმ. გიორგის საყდრის კარები და უჩვენა მნახველთ მრავალი ძვირფასი სიძველენი: ერთი დიდი ვერცხლის ხატი წმ. საბასი (რომელიც როგორც ამბობენ ჩხარშივე გაკეთებული უნდა იყოს), მოოქროვილი და ძვირფასი ქვებით შემკული, რომელიც ასვენია კანკელზე მარჯნივ; ხატზე ქვემოდ წარწერაა იმერეთის მეფის სოლომონ მეორისა, რომელსაც შეუმკია იგი, როგორც წარწერა ჰმოწმობს, ნიშნად გამარჯვებისა მტრებზე და სადღეგრძელოთ ძისა თვისისა ალექსანდრისა 1780 წელსა. მარჯვნივ კანკელზე ამართულია კაცის სიმაღლე ჯვარი ვერცხლისა, რომელშიაც ასვენია წმ. გიორგის ხატი—შემკული მარგალიტებით; ხატშივე არის ნაწილები, რომელთაც მოწიწებით ემთხვივნენ მნახველნი. მოწაფეებს აჩვენეს აგრეთვე გულანი, რომელიც ჯერ კიდევ კარგად შენახულა. საყდრიდან გამოსვლის შემდეგ ყველანი ავიდნენ შიგნით დატანებულ კიბით ქვითკირის სამრეკლოზე, რომელსაც 7—8 საჟენი სიმაღლე ექნება; სამრეკლო უშენებია გენათელს, მაგრამ რუსთა ჯარის შემოსვლის გამო ვერ დაუსრულებია.

ამ ძვირფას ნაშთთა დათვალიერების და გაცნობის შემდეგ ყველანი შეუდგნენ მაღლ მთას, რომლის წვეროზედ სდგას ოქონის მველებური საყდარი, და სადაც კიდევ სჩანს ნანგრევი სიმაგრეებისა. აღტაცებულნი მოწაფენი აღარ ეძებენ ბილიკებს; თვითეულმა ცალკე გზა აირჩია, ჩირგვების და ხის ტოტების შემწეობით მაღლ მოექცნენ მთას წვეროზედ. აქ საუცხოვო ამწვანებულ ვაკეზედ, ზრდილ ქვეშ, რამდენიმე ხანს დაისვენეს. მგალობელთა გუნდმა, მ. მჭედლიძის სურვილისამებრ, მასწავლებლის ხანაიძის ლოტბარობით, სასიამოდ იგალობა „ვინ არა გნატრიდეს“.—და „შენ გიგალობთ“ ბოლოს—„გოგონა“—რომელზედაც ცქვიტად დაუარეს ლეკური პატარა მოწაფეებმა. შემდეგ წამოიშალნენ და დაეშვნენ მდინარე ძერულის სათავისაკენ.

გზაზედ მნახველთა ყურადღებას იქცევდა მართლა და შესანიშნავი სურათი,—უზარმაზარი კლდეები და თვალ-წარმტაცი სილამაზე მთებ-შუა გადაჭიმულ ვაკისა, რასაც კოხტად ავვირგვინებდა შუაგულ ალმასებრ მჩქეფარე ძერულა, რომლის ნაპირებზე ჩამწკრივებულა სოფელი ხრამი. აქვე დაათვალიერეს შავი ქვის მადანი, რომელიც რამდენისამე წლის წინად კიდეც იზიდებოდა საზღვარ გარეთ, მაგრამ დღეს, როგორც ცოტა ნაკლების ხარისხისა, მივიწყებულია. აქ რამდენსამე ხანს შეუცვიანდათ და შემდეგ გასწიეს დანიშნულ ადგილისაკენ, სადაც მიაღწიეს საღამოს 5 საათზედ.

მმართველს მღ. ვლ. სალაძეს მწვანე მინდორზედ, მთის ანკარა წყაროს გარშემო მოემზადებინა სადილი, რასაც, სწორე მოგახსენოთ, მადიანად შეექცნენ. სადილზედ მ. ჭედლიძემ, სხვათა შორის, გრძნობიერის სიტყვით მიმართა სწავლა დამთავრებულთ და ინება მათი სადღეგრძელო. სადღეგრძელოებს თან მოჰყვებოდა ხოლმე გულის სიღრმიდგან ამომონაჩქეფი მრავალ-ჟამიერი და სხვა სიმღერები, რომელსაც მკაფიოდ ხმას აძლევდა თვალ უწვდენელი კლდე თავის გამოძახებულობით. ყველას სახეზედ ნათლად წაიკითხავდით უძღლეს ნეტარებას და სიამოვნებას; აქ, პატივცემით მოწაფეებს და მასწავლებლებს კი არა, რომელიც უფ-

ႴႤႪႤႲႭႬႨ

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

XVI

ტფილისი, 27 ივლისი.

ზაფხული გაშუალდა. ულმობელმა პაპანებამ ლამის სულ გაიოათაყვანოს, თუ სადმე თავ-ზიანნი და ჭკუაზედ მწყრალნი იყვნენ. მოჰყოლიან ბოდვა-ქადაგსა, ცისა და ბარისას ერთმანეთში ურევენ. ზოგი მსოფლიოს ამაოებას დასტირის, ზოგი ოხერ კუჭსა, ზოგიც მთა-ბარის გათანასწორებას ოცნებობს; არც თავად ესმით-რა და სხვას რას-ღა გააგებინებენ! ერთის სიტყვით, ჭკუა აუდუღდათ. (მოგეხსენებათ, ყოველივე სითხე სიცხისაგან ადუღდების).

ვინაიდგან ჩვენი „შურდულის“ რედაქცია დასაბამიდგან მარტოოდენ სამართლიანობითა და კაცთ-მოყვარეობით იყო გამსჭვალული, ჩვენს წმინდა მოვალეობად ვრაცხთ დროით მივეშველოთ ამ მზე-ნაწვევთა და დასიცხულთ: ხშირ-ხშირად გადავასხათ ხოლმე ცივ-ცივი წყალი, ხან საგრილებელი აბები ვაყლაპოთ, რათა მათი ადუღებული გონება ოდნავ მაინც დადგეს ღონეზედ და მათი აზრთა სრბოლა ერთს გარკვეულს გზას დაადგეს.

რადგან დარწმუნებულნი ვართ, ჩვენის ტურფა სამშობლოს სხვა-და-სხვა კუთხეშიაც მრავლად იქმნებიან მზე-ნაწყენ-დასიცხულნი, ამიტომ მოვუწოდებთ ჩვენს ძვირფას თანამშრომელთ,—დროით გვაცნობონ ხოლმე ადგილობრივი „სამურდულო“ ამბები, რათა დროითვე დავამზადოთ საგრილებელი აბები და ამგვარად მივსცეთ შვება გაჭირვებულ მოყვასთა.

ვიმეღოვნებთ,—ჩვენი მოწოდება არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ და ჩვენი თანამშრომელნი პლომად მოგვაწვდიან საჭირო მასალას. ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ყოველი ახალი თანამშრომელი დიდის პატივისცემით იქმნება მიღებული. აბა, თქვენსა მზესა, თანამშრომელნო, ნუ დაგვზარდებით.

—

უფულობა.

საითაც კი გავიხედე,
ყველგან ვნახე უფულობა...
ქართველ კაცს სახელი ვკითხე,—
მქვიან, ძმაო, უფულობა!

ქართველ გლეხს, თუ ვაჭარს, მუშას
აღრჩობს ყველას უფულობა...
ისე უყვარს მას ეს სენი,
როგორც „კნიაზს“ უფულობა.

თუ ფული აქვს, ზიზღით ამბობს:
„მეწვიაო, უჰ, ფულობა...“
იმას ეტრფის, იმით ცოცხლობს,
უყვარს თავის უფულობა!

რაკი ეგრე ვუკიჟინებთ
სიღარიბეს, უფულობას,
მაშ ორსავე გაუმარჯოს:
ქართველს და მის უფულობას!

ივ—ელი

—

ფელეტონი

დრამატიულ საზოგადოების დრამატიული მდგომარეობა.

ამბობენ „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, მაგრამ არა მგონია „დღევანდელი გასაჭირი“ და „უბედური“ მდგომარეობა ქართულ სცენისა „დახლართულ საქმეს“ და „მზის დაბნელებას“ არ გვაგონებდეს. ჩვენის „კაეშანის“ გამოსათქმელად მზათა ვართ „კიდევ ერთი მსხვერპლი“ შევსწიროთ, ვითარ შეჰფერის „ცხოვრების გმირსა“ და გრძელი სათქმელი „ნაპერწკალივით“ მოკლედ წარმოვსთქვათ „ქართულის რეპერტუარის“ საშუალებით.

„მიკუხჭული ბედნიერება“ თუ „მზეს მოკლებულია“, მარტო „ქალაჩუხას“ მიაჩნია „ცხოვრების მეჯლისად“ და ამიტომ, ნურას უკაცრავად, თუ მოგახსენებთ, რომ „საზოგადო საქმე“ სულაც არ გახლავთ „თვალთმაქცობა“ და, თუ ეს „დრამატიულ საზოგადოების გამგეობას“ არ სჯერა, ოღონდაც დიდი „დამნაშავეა!“

„ჩვენის თეატრის დედა-ბოძნი“ „სალოთას ძილის“ შემდეგ „რეჟისორის“ ძებნას შეუდგნენ, მაგრამ, რადგან ზემო „ჩარდახში“ „გამოუკვეთელი ოცნებაც“ არ ჰქონდათ, ამიტომ „გაცრუებული იმედების“ პატრონებმა ბევრი „არევ-დარევის“ შემდეგ, ჩვენის თეატრისა და „სამშობლოს სადიდებლად“ გადაწყვიტეს „მორიგი რეჟისორობა“. მაგრამ მაგარი ის არის, რომ ამ გადაწყვეტილებას „სუსტი მხარე“ ჰქონია, ვინაიდგან ოთხი-სამი, თუ „ორი ძმებარი ერთს ნაკვლევზე“ „მსხვერპლისათვის მსხვერპლს“ მოითხოვენ და შეიძლება „სამინელის შურის ძიებით“ აღგზნებულ რეჟისორებმა „სცენები მიროვოი სუდიასთან“ გაათავონო; უარჰყვეს ეს „შეცდომა“ და ამიტომ „იქვიანმა“ გამგეობამ იფიქრა, „ჯერ თავო და თავოო“ და, „მაჭანკალის“ რჩევით, „სახიფათო ნაბიჯი“ ასაცდენად, რეჟისორის „ლანდი“ დაიხანა და „მოჩვენება“ ცხადად მიიღო... არ ვიცი, ვინ იყო „მონადიოე“, თუ „მგზავრი“, „ტივით მიგზაური ლიტერატორი“, თუ უბრალო „ცოდვის შვილი“, „ოტელო“, თუ „კინტო“, „ყაჩაღი არსენა“, თუ „კაკო ბლაჭიაშვილი“ და „მტარვალი“, თუ „ახალი გმირი“, მაგრამ აშკარაა ვიღაც-კი გამგეობას „ბედის საცდელად“ გამოსჩენია; ღმერთმა ჰქნას! უეჭველია მაშინ მოისპობა „ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში“. თუ ეს ხსენები გამართლდა, მაშინ ჩვენი „მღერმოყვარე ძმები“—მსახიობნი და რეჟისორი, „დამძურად“ დამეგობრდებიან და ეს ერთად „ერთი შემთხვევა“ იქნება ჩვენს სცენაზე, როცა „მგლები და ცხვრები“ „ბორკილით“-კი არა, „ეხლანდელის სიყვარულით“ იქმნებიან შეკავშირებულნი და მათ ვერას დააკლებს ვერც „ხალხის მტერი“ და ვერც „ბრძოლის“ „გრიგალი“ და „ქარიშხალი“, თუ-კი ისევ „გულის თქმას“ არ აჰყვნენ და „სულით ობოლნი“ „ავაღმყოფ ხალხად“ არ გადიქცნენ.

ქართულ ახალ რეპერტუარის მონატრული.

—

მეცნიერული გამოკვლევა.

(ვუძღვნი უხადო-მკვლევარს Габ-ეოილ-ანცს)

სომხური გვარის ნიმანდობლივი დაბოლოება—ანცი მოასწავებს, რომ სომეხი არის გვარის მიხედვით მოუსვენარი, დაუდეგარი, ე. ი. ანცი. ამის გამო ყოველ სომხის გვარს ბოლოში თანდაყოლილი აქვს ქართული მთელი სიტყვა—ანცი, მაგალ. ხატისიანცი, მარიანცი და სხვ.

აქედან დასკვნა: სომხები, რომელთა გვარსაც ეს დაბოლოვება აქვს, შეიძლება, ყოფილიყვნენ წინათ—ახალგაზდობისას—ქართველები, (მშობლები ხომ ნამდვილი ქართველები ეყოლებოდათ) და მხოლოდ ამ ბოლო დროს სხვა-და-სხვა „პოლიტიკურ“ მოსაზრებით—ხან მი შესვლის დროს—შეიძლება ჭკვაზედ მოსულიყვნენ, ფერი ეცვალოთ—გადასომხებულიყვნენ, გამხდარიყვნენ—ჭაი—ანცი მაგალ. თუმანიანცი, კალატოზიანცი.

ამის შემდეგ სრულებით გამორკვეულათ უნდა ჩაითვალოს დიდი ხნის დავა, სომხურს გაზეთებში ატეხილი, თუ საიდან გაჩნდა ეს ანცი სომხურ გვარების ბოლოში...

ივ—ელი

—

„შურდული“-ს პოლიტიკური მიმოხილვა.

სამოთხეთი. ვის არ გაუგონია სამოთხეთი! ყველასათვის სანატრელი ქვეყანაა, მაგრამ ყველას არ შეუძლიან შიგ თავისუფლად შესვლა და ცხოვრება. ამ ქვეყანას საზღვრავს მეორე კარგად მოზრდილი მეზობელი სახელმწიფო ტარტაროზეთი, რომელიც გაცილებით თავისუფალი ქვეყანაა, ვიდრე სამოთხეთი. ამ ორ სახელმწიფოთა შორის ამ ჟამად დავაა ატეხილი იმის შესახებ, რომ მიენიჭოს ხალხს სრული პოლიტიკური თავისუფლება და მრავალი სხვ. ტარტაროზეთი უკვე ჯარსა და ფლოტს ამზადებს ბელზებულთა წინამძღოლობით. აგრეთვე დიდს მზადებაშია სამოთხეთიც, მაგრამ ისეთ ძლიერ სახელმწიფოსთან, როგორიც არის ტარტაროზეთი, ვერაფერს გახდება; ამასთანავე ხალხის სიმპატია არის ტარტაროზეთისაკენ. ტარტაროზეთის მოთხოვნილებანი პროგრესიულია, ხოლო სამოთხეთისა-კი—რეგრესიული.

საქმე იმაშია, რომ ტარტაროზეთი თხოულობს პირველისაგან: 1) თავისუფალ მოქალაქობრივ უფლებას (ტარტაროზეთში ყველას თავისუფლად შეუძლიან შესვლა,—ცოდვიანსა და უცოდველს, პასპორტიანსა და უპასპორტოს); 2) პოლიტიკურ თავისუფლებას; 3) მამაკაცთა და დედაკაცთა უფლების გათანაბრებას; 4) საჯარო სასამართლოებს და სხვ... ამ ქვეყნებში ფაბრიკა-ქარხნები არ არსებობს, თორემ უეჭველია ტარტაროზეთი ამათ სასურველ ნიადაგზედ დაყენებასაც მოითხოვდა სამოთხეთისაგან.

ასეთია საქმეთა მდგომარეობა შორეულ სამოთხესა და მის მახლობელ ტარტაროზეთში და, როგორც გაზეთები იუწყებიან, ომი აუცილებლად უნდა მოხდეს. ამას ჩვენ დავუმატებთ, თუ ომი მოხდა, გამარჯვება უთუოდ ტარტაროზეთს დარჩება, რადგან სამოთხეთი ომს არ არის ჩვეული, მშვიდობის მოყვარე ხალხია და არც იმისთანა სარდლები ჰყავს, როგორიც ტარტაროზეთსა.

აკაკი

ჩვენებური ამბები

ავლაბარი. ავლაბრელები გაბედნიერდით: აქამდე თუ სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ წარმოდგენას ძლივს ვღირსდებოდით, ახლა სამაგიეროდ ყოველ კვირაში ორ-სამი წარმოდგენა იმართება ქართულად; ჟერ რა პიესები „იდგმის“, გაოცდებით. ჩვენს ბედნიერებას და კმაყოფილებას არაფერი დაჰრილავდა, რომ თვით წარმოდგენები არ იყვნენ შეურაცხყოფელი: სოფლები, თუმცა, ყოველ წარმოდგენაზე 10—25 მანეთს და ხან მეტსაც ზარალობენ; მაინც მისს არ იტეხენ, ხალხისა თუ ერთმანეთის (რამდენიმე და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსს და უმცროს ძმებს, ერთმანეთის გულით მოყვარულებს. სადილი გათავდა „აცხოვნე უფალო.. და „ღირს არს“-ის გალობით. შემდეგ ყველანი შეუდგნენ მდინარის სათავის თვალიერებას; განცვიფრებით უცქეროდნენ თუ როგორ გამორბოდა ამოდენა მდინარე თვალუწვდენელ კლდის ძირში; აქვე, ვინც არ იცოდა, ყველამ გაიგო, რომ ეს მდინარე იკარგება ახალ-სოფელში და მთელი ექვსი ვერსის მანძილზედ მიმდინარეობს კლდეში; ბოლოს გამოდის ს. ძევრში და აქედგან ჩადის მდ. ყვირილაში. გარდა ამისა—ყველანი—მასწავლებელნი და მოწაფენი—ანთებულ სანთლებით ხელში და „შენ გიგალობის“ გალობით შევიდნენ იქვე მყოფ მღვიმეში, რომელშიაც იარეს, სანამ შესაძლო იყო. აქ ნახეს „სკალაქტიტები“ და იქვე აუხსნეს ბავშვებს, თუ როგორ წარმოსდგება იგი. ბევრი კიდეც დაამტვრიეს და წაიღეს სკოლაში ნიმუშად. დაათვალიერეს აგრეთვე სხვა გამოქვაბულებიც. ერთ მათგანში შეამჩნიეს ჯვარი, რომელიც ნახევარ არშინის სიგძისა ძლივს მოსჩანდა ძირიდგან; ერთი მასწავლებელი სამიოდე მოწაფით როგორც იყო ავიდა ჯვართან; დანარჩენნი კი ქვეშიდგან შესცქეროდნენ. დათვალიერების შემდეგ რომ ძირს ჩამოვიდნენ, ყველანი გარს შემოესივნენ თავ-განწირულებს და მოისმინეს: „ჯვარი ხისაა, ერთი საჟენი სიმაღლით, შესაფერი სიმსხოსი, ჩასმული დიდ გამოკუთხულ ქვაში; გამოქვაბულს წინ ხელით ნაშენი ქვით-კირი აქვს“...

ამას შემდეგ კიდევ რამოდენსამე წუთს ისიამოვნეს დიადის ბუნებით და ბოლოს შეგროვდნენ სკოლაში დასაბრუნებლად. უკან გზით ისევ ჩხარში გამოიარეს, სადაც ბინდმა უსწროთ; აქ მ. მჭედლიძე გაუმასპინძლდა მოწაფეებს ტკბილეულობით. ჩხარში საერო სიმღერების გალობით გაიარეს მოწაფეებმა, რამაც სმენად და ცქერად გარდააქცია მთელი ჩხარი. საზოგადოდ ამ მოგზაურობამ დიდი შთაბეჭდილება იქონია ყველაზედ და განსაკუთრებით ჩხარელებზედ. მეტი არ იქმნება ვსთქვათ, რომ ამ მოგზაურობამ იმოდენი თანაგრძნობა და სიყვარული გამოიწვია მცხოვრებთა შორის სკოლისა და სწავლისადმი, რის ნახევარიც არ შეეძლო ერთის წლის ორატორობას ამ საქმის შესახებ. უმეტესი წილი მოწაფეთა გამოეთხოვა და დასცილდა უფროსებს სკოლის ახლო, სადაც, ღამის წყვდიადში, ერთხელ კიდევ მიმართა მათ მ. მჭედლიძემ გრძნობიერის სიტყვით და მშობლიურის დარიგებით დასცილდნენ ერთმანეთს.

ეს პირველი შემთხვევაა ალისუბნის სკოლის ცხოვრებაში. იმედია, ეს ახლად დაწყებული საქმე, როგორც გონივრული და ნაყოფიერი, თავს არ დაივიწყებს შემდეგშიაც თუ არ მოგვაკლდა (რაც შეუძლებელია) მ. მჭედლიძის კეთილ-ნაყოფიერი მზრუნველობა.

ვ.

რუსეთი

ახალი, სრულიად მარტივი წესი არსდება უფასო საერო ბიბლიოთეკების დაარსებისათვის. აქამდე საჭირო იყო სამინისტრომდე მისულიყო ქაღალდი, ახლა-კი საერო სკოლების დირექტორს შეეძლება ბიბლიოთეკის დაარსების ნებართვის მიცემა. გამარტივდება აგრეთვე საქმე წიგნთა საწყობისა სასოფლო სკოლებში. ამისთანა საწყობთ ნება ექმნებათ გაჰყიდონ არა მარტო სახელმძღვანელონი, არამედ სხვა წიგნებიცა მოწონებულ კატალოგებით.

— მთავრობამ აღკრძალა კრებანი სიონისტებისა და შემოწირულებათა მოგროვება სიონიზმის აზრის განსახორციელებლად. ამისთანა ბრძანება ამ დღეებში მისულია ხერსონის გუბერნატორს.

— საერო განათლების მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ მოუმატონ ჯამაგირები პოლონეთის სამეფოში სასოფლო სკოლების მასწავლებლებს.

— დაითხოვეს სამსახურიდან ვლადივოსტოკისა, ბლაგოვეშჩენსკისა და ომსკის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქთა უფროსნი, იმიტომ რომ დაუგვიანებიათ გადაცემა 1600 სიტყვიან დეპეშისა, რომელიც იაპონიიდან ყოფილა გაგზავნილი უმაღლეს სახელობაზედ.

— დააწესეს, რომ, როცა ქარხანაში პატიმართ ამუშავებენ, ქარხნის მუშებში არ იქმნან ისინი არეულნი, არამედ ცალკე მუშაობდნენ. ამას გარდა, ქარხნის გამგეობა უნდა ეცადოს, რომ არავითარი ურთიერთობა არ არსებობდეს პატიმართა და ქარხნის თავისუფალ მუშათა შორის.

— ხორცის უარ-მყოფელთა ანუ ვეგეტარიანთა საზოგადოება მთელს რუსეთში დღემდე ერთი იყო, სახელდობრ პეტერბურგში. ახლა მეორე ამისთანა საზოგადოება ვარშავაშიც დაარსებულა. ვეგეტარიანობის შესახებ მთელი ლიტერატურა თურმე არსებობს პოლონურ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენაზედაც-კი.

— სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტში დღემდე 500 თხოვნაა უკვე წარდგენილი. ვაკანსიების რიცხვი მხოლოდ აგვისტოს დამდეგს გამოირკვევა.

— გადაწყდა, რომ დაარსდეს ცალკე სამკურნალო ფონდი და რკინის გზის მმართველობი განკარგულებაში იყოს. ამ ფონდს უნდა ემატებოდეს იჯარადართაგან ასზედ ერთი მანეთი იმ ფულისა, რასაც იჯარადარი აიღებს გაკეთებულს საქმეში. ფონდის ფულით რკინის გზის მმართველობამ უნდა მოუაროს ავადმყოფ მუშა ხალხს.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ ბერლინის ჟურნალ „ნაციონ.“-ში სწერია:

„ინგლისს, როგორც ეტყობა, დიდადა სურს ჩამოაცალოს საფრანგეთი რუსეთს. შორეულ აღმოსავლეთში საქმეები იწეწება და სწორედ ეხლა უფრო საჭიროა ინგლისისათვის მათი განცალკევება. თუ მაინცა და მაინც ინგლისმა რუსეთ-საფრანგეთის კავშირი ვერ დაარღვია, არც ის იქნება ურიგო მისთვის, რომ საფრანგეთმა რუსეთი ზომიერად ამოქმედოს. ამგვარ მოქმედებისათვის იქნება ინგლისმა საფრანგეთს ბევრი რამეც დაუთმოს. იქნება საფრანგეთსაც ისა ჰქონდეს აზრად, რომ ინგლისსა და რუსეთს შორის დალალობით ორივენი მიიმხროს და ისარგებლოს ინგლისის გერმანელებისადმი სიძულვილით გერმანიისავე წინააღმდეგ. ამავე სარგებლობას გამოელის იგი რუსეთიდგანაც. ეს მოსაზრება მეტად მოხერხებული, მაგრამ წინასწარია და მისი საიმედოდ ჩათვლა საეჭვოა. გერმანიასა და ინგლისს შორის უკმაყოფილება სუფევს და უნდა ეცადნენ დიდ განხეთქილებად არ გადაექცეთ იგი.

სამაგიეროდ. ინგლისსა და რუსეთს შორის კი ისეთი რეალურ ინტერესთა წინააღმდეგობა არსებობს, რომელიც დიდის დიპლომატიურის მოხერხებით შეიძლება ცოტა ხნით დაშოშმინდეს და რომელსაც უდიდესი სახელმწიფო კაციც კი ინტერესთა ჰარმონიად ვერ გადააქცევს.

ყველა დაგვეთანხმება, რომ დელკასემ დიდის მოხერხებით აღამაღლა საფრანგეთის საერთაშორისო ეტიბარი და კიდევაც ისარგებლა ინგლის-რუსეთის გამწვავებულ ურთიერთობით. გერმანიას ეს ამბები არ უნდა აშინებდეს. გერმანიისადმი საერთაშორისო წინააღმდეგობა აუსრულებელი ოცნებაა, რადგან საფრანგეთის მიერ დაპირებული სარგებლობა ამ ორ სახელმწიფოთაგანში ვერ აჯობებს გერმანიასთან საერთაშორისო კეთილ განწყობილებას.

გერმანიას ინტერესები არ აიძულებს რომელსამე სახელმწიფოს მკაცრი წინააღმდეგობა გაუწიოს. ჩვენ დამშვიდებულის გულით შეგვიძლიან ვუცქიროთ, როგორ რიგდებიან სახელმწიფოები, ან როგორა მწვავდება მათ შორის საქმე. პირველ შემთხვევაში ჩვენი ჩარევა საქმეებში უადგილოა, მეორეში კი ჩვენ სასურველნი თანაშემწენი შევიქნებით. სანამ გერმანია დინჯადაა და არ ერევა კერძო საქმეებში, რომელნიც მისს ადგილობრივ ინტერესებს სრულიად არ შეეხება, ჩვენ შეგვიძლიან შორიდგან თვალ-ყური ვადევნოთ, როგორ დაძვრება საფრანგეთი რუსეთსა და ინგლისს შუა ბევრის გამორჩენისათვის.

მანამდის კი შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საფრანგეთის ასეთი პოლიტიკა აღმოსავლეთ აზიის შერყეულ მშვიდობიანობას განამტკიცებს. აღმოსავლეთ აზიაში რომ შეჯახება აუცილებლად მოსალოდნელი იყოს, საფრანგეთი იქნება ინგლისთან ასე არ დაახლოვებულიყო. ამ შეჯახებამ რუსეთთან აქ და იაპონიასა და ინგლისთან იქ, ან უნდა საფრანგეთი რუსეთის მხარეს გადაიყვანოს და მით ახალგაზრდა ინგლის-საფრანგეთის მეგობრობა მოსპოს, ან კიდევ რუსეთთან აღმოსავლეთ-აზიისათვის დადებული ხელშეკრულობა, დაარღვიოს და მით საფრანგეთ-რუსეთის კავშირი მოისპოს.

თუ დელკასსემ აღმოსავლეთ აზიაში შერყეული მშვიდობიანობა განამტკიცა, მისი ღვაწლი ღირსეულად დაფასდება. ჯერჯერობით-კი ძნელი სათქმელია, მოხერხდება თუ არაეს, ან როგორ დაკმაყოფილდება რუსეთის მიერ მანჯურიის მოთხოვნა და იაპონიის მითვისებანი. მაინცა და მაინც ჩინეთი ისეთი დიდია, რომ ყველას დააკმაყოფილებსო“.

ბულგარია. რომიდან გაზეთ „ინდეპ. ბელგ.“-ს აუწყებენ,—იტალიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ საშიში ცნობები მიიღო სოფიიდანაო. თუ მთავარი ფერდინანდი დაუყოვნებლივ არ დაბრუნდა სოფიას და სამინისტრო არ შესცვალა, დიდი უბედურება დატრიალდებაო.

აბაშეთი. გაზ. „ეგენ. დალ.“-ის სიტყვით აბაშეთის ნეგუსი მენელიკი ავად გამხდარა. ევროპიელ ექიმების წამლობაზე უარი განუცხადებია და ადგილობრივ წამლობისათვის მიუმართავს.

თეატრი და ხელოვნება

ამ დღეებში პარიჟში გარდაიცვალა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ერთ დროს შესანიშნავი მომღერალი ქალი, რომლის სახელი და დიდება ჰქუხდა მთელს ევროპაში, როზინა შტოლცი; სხვათა შორის ცნობილი იყო იმით, რომ მან შეჰქმნა დონიცეტის ოპერაში როლი ფავორიტის ქალისა. გარდაიცვალა შტოლცი ღრმა მოხუცებაში და იცოცხლა უფრო მეტს ხანს, ვიდრე სამმა მისმა ქმარმა და შვილებმა.

სოფ. წყნეთს, კვირას, 31 ივლისს, ქართულ სცენის მოყვარულთაგან წარმოდგენილი იქნება: 1) „ყაჩაღი არსენა“, დრამა 3 მოქ., თხზ. ა. ყაზბეგისა, 2) „მათიკო“, ავქ. ცაგარლისა მე-3 მოქმედება. მზადდება იქვე წარმოსადგენად გ. ერისთავის კომედია „გაყრა“.

წერილები

I

რედაქციის მიმართ.

„ივერიის“ წარსულ ერთ ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია დ. ხონიდან Alliense-ს, Alliense—საყვედურს უცხადებს ხონის სამკითხველოს მმართველობას, ვითომ ისინი არ უხდა ჰზრუნავდნენ სამკითხველოსათვის. იყო დრო, როდესაც მართლაც არაფერს აკეთებდნენ სამკითხველოს გამგენი; დღეს-კი მომეტებულის ენერგიით შრომობენ სამკითხველოს ახალ გამგეობის წევრნი. დღევანდელ ჩვენ სამკითხველოს გამგეობას საყვედური არ ეთქმის, მადლობა-კი. იცის Alliense-მა ის, თუ რა საშუალებით ჰკრეფს სამკითხველოს გამგე სამკითხველოსათვის ფულს, წიგნებს?! იცის Alliense-მა, თუ რამდენი თვე ინახავდა სამკითხველოს თავის ფულით ბ-ნი სამკითხველოს გამგე, როდესაც წევრთაგან ფულის შეკრებას საშველი არ დაადგა?! უეჭველია ეს იცის Alliense-მა და მაინც საყვედურს უცხადებს!.. Alliense-ს, როდესაც კორესპონდენციას წერდა, უეჭველად, ძველ სამკითხველოს გამგეობას ჰგულისხმობდა, და არა ახალს!

ილია ბარტაძე

II

„კვალის“ № 17-ის საშუალებით გამოველაპარაკე ბატ. ელიაშვილს და ვთხოვე რა, ჩვენ შორის ატეხილი ბაასი სამედიატორო

სია) ჯიბრით „ჟამაშობენ“ და... გაგიხარიან, ზარალობენ... ვინ არის მოგებაში? რასაკვირველია, თეატრის პატრონი. ავლაბრელები ითვლევინებიან, განსაკუთრებით ხავიადებიდან,—კმარა, გეყოფათ, თქვენც მოისვენეთ და ჩვენც მოგვასვენეთო... გავნათლდით მეტის მეტადაო!..

დროებით ავლაბრელი.

მეწიგნეთა უბანი. წიგნები თაროებზე ქიებმა დაგვიხრეს; გვიტიალდება; მყიდველი არა სჩანს. ქესატობაა... ორშაურიან წიგნს რომ აბაზათა ვყიდდით, იმანაც ველარ გვიშველა. ეხლა განვიზრახეთ, ამხანაგობა შევადგინოთ და დავარსოთ ქაღალდის გადამხალისებელი ქარხანა, ე. ი. ისეთი „ხავოდი“, რომელშიაც შესაძლებელი იქმნას დაბეჭდილ წიგნების სუფთა ქაღალდათ გარდაკეთება, ეგება ის მაინც გამოვიყენოთ და პურის ფული ავინაზღაუროთ.

„შურდულის“ რედაქციასა ვსთხოვე, ერთი კაცი გვიშოვნოს „უსტავის“ შესადგენად, კომისიას-კი, ღმერთო, გვაშორე. ერთი ვინმე, მგონი, არ გაჭირდება. ქართველები ხომ ყოჩაღები ვართ „უსტავისა“ და ამხანაგობის შედგენაში.

ქართველი მეწიგნე.

ს. დიცი (გორის მაზრა). მღ. კ—ძეს, როგორც „კვალი“ გადმოგვცემს, ძრიელ გაჰღვიძებია მადა ფულის მოხვეჭისა; დახე ბედს, ფულის მადნისთვისაც რომ მიუგნია: აულია და ბეჩავ დიცელ გლეხებს 1451 მან. უჩივის.

ნეტა ვიცოდეთ, რომელ სამოციქულოში ამოიკითხა ამ სულიერმა მამამ ასეთი შებრალება ბეჩავ ხალხისა!?!

კვიმატი

ქართლი. საკვირველი დამჯერე და კანონის აღმასრულებელი ხალხია ქართლში. გაიგეს თუ არა, ეხლა მცირედი მიზეზი კმარა ცოლ-ქმართა გასაყრელადაო, სიხარულით ცას დაეწივნენ და მიჰყვეს ხელი კანონის აღსრულებას; ორმოცის წლის ჯვარ-დაწერილნიც-კი თავს ანებებენ ურთი-ერთსა... შვილებს აღარას დაგიდევენ თურმე,—ჩვენ გავაჩინეთ, დაე, ღმერთმა დაარჩინოსო!

კანონი ხომ კანონია, მაგრამ სულ-კი იმ ეშმაკ-კუდიან ქალებისა და კოხტა ბიჭუნების ბრალია, რომელთაც სიყვარული, ხამუსი, სინიდისი, პატიოსნება, ზნეობა მოდნურათ ესმით. ეჰ, მახლას! ყოველივე მოდის ბრალია!..

კვიმატი.

ბაქოელ „მსუქნების“ სიმღერა.

ფული, კუჭი და ფული.-.
ამათ ვენაცვალები!..
რას მიქვია, რა არის
ქვეყნის ჭირი, დარდები?!.
აბა დელი, დელია, დელია,
ეს ქვეყანა ჩვენია, ჩვენია!..

—

ტკბილსა ვსჭამ და ტკბილსა ვსვამ,
ტკბილადვე მეძინება;
სხვამ იტანჯოს, იწვალოს,
მე ეს რა მენაღვლება?!
აბა დელი, დელია, დელია,
ეს ქვეყანა ჩვენია, ჩვენია!..

ცოცხი.

ნარევ-ნაკვეს-გასართობი.

ერთი გორელი მატრაბაზი კარგა ხანს მსახურობდა ბალახანაში. რასაც შოულობდა, სულ ქეიფ-დროს-გატარებაში ჰხარჯავდა და ბოლოს ცარიელ-ტარიელი დაუბრუნდა ოჯახს.

— „ი დალუპული ბალახანა ძიელ მდიდარი ადგილი-კი ყოფილა ოდესმე: სადაც უნდა დაგედგა თურმე ფეხი, შადროვანი ამოვარდებოდა; მაგრამ რაც მე მივედი, ისე გაშრა ი ტიალი, რომ წვეთი ნავთი აღარ ამოსულა...

ცოლს გულმა აღარ მოუთმინა:

— ქა, ნეტამც შენი ცხელ-ცხელ ტყუილებით ჩვენი მტკვარ-ლიახვი არ დაშრებოდეს და ბალახანის ნავთმა შენი შვილების ჭირიც წაიღოსო.

ცოცხი

ორი ახალგაზდა, სომეხი და ქართველი შებაასდნენ.

— შენ, ეი, დაგვიწყებია, რომ ჩვენ სომხები ვართ; კარგა უნდა იცოდე, თვითეული სომეხი „მეხს“ თან ატარებს და ფრთხილად, თორემ ვაი ,თქვენი ბრალი, იმ მეხს ზედ თავზე დაგატეხთო.

— რას იბღინძები, შვილოსა, თუ თქვენ „მეხს“ ატარებთ, ჩვენ „ქარი“ დაგვდევს თანა. როცა თქვენი „მეხი“ დაიძვრის, ჩვენი „ქარი“ ჰაიასტანისკენ უზამს პირსაო.

სოსო.

მოწაფეს ეკითხება მასწავლებელი:

— რა დრო იქნება, როცა საათი თოთხმეტჯერ დაჰკრავს?

— ეგ დრო იქნება იმ საათის მესაათესთან შესაკეთებლად გაგზავნისაო,— ფიცხლად მოუჭრა სიტყვა მოწაფემ მასწავლებელს.

დეპეშები.

(ცოცხის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ივლისი.

ბაქო. ბაქოს მანდილოსნებმა „დონჟუან - ლოველასების“ საწინააღმდეგო შეთქმულობა მოახდინეს და დაადგინეს: „თუ დღეიდგან რომელიმე უტიფარი კიდევ აგვედევნოს, დავიჭიროთ და მაგრად გადავკოცნოთო, შერცხვებათ და თავს დაგვანებებენო“...

იქიდგანვე. ბაქოდგან ამ დღეებში ქუთაისის „აბლაკატებს“ არზას უგზავნიან,—დაგვიღუპეთ, ჩვენისთანა ზანტ და მომაკვდავ სხეულის პატრონს ამისთანა „ცოცხალი თავი“ არ შეეფერება; გვიშველეთ, როგორმე მოგვაშორეთ და, რაც გინდათ, გადაგვახდევინეთო.— ივლისის 5-ს მაზუთიანებს უცებ თავ-მუცელი ასტკივდათ. მათმა ღრიალ-ბღავილმა სხვაც ბევრი აატირა. ღმერთმა უშველოს ისევ მათ მოხელე-მოსამსახურეებს: რომ ისინი არა, საქმე ცუდად იყო...

ეს ფათერაკი სულ მისი ბრალია, რომ აქაური მეხილეები მკვახე ხილსა ჰყიდიან.

ბალახანა. ვისაც კარგი მხედველობა აქვს და უდროოდ დაბრმავება ჰსურს, ბაქო-ბალახანა-საბუნჩა-რამანაში იცხოვროს: ან ფული დაუბრმავებს თვალსა, ან მტვერი.

(შურდულის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ივლისი.

თუმანაანთ-კარი. რაშიდი რაშით დაკვინტრიშობს ოცნების მეიდანზედ; ამბობენ,—ამ დღეებში „ცნ. ფურ.“ ქადაგს ტერ-სიტყვა-ყალამიანცს ეწვევა სადარბაზოდ და გაზულუსებას მიულოცავსო.

ქუთაისი. დღეს საღამოს 8 საათზე ლადიძესთან დანიშნულია მოლაყბეთა მიტინგი.

იქიდგანვე. „გასართობის“ წევრნი ამ ახლო მომავალში დიდის გამოჩენებით იდღესასწაულებენ თავიანთ ფუქსავატობას. მოპატიჟებულნი იქმნებიან ქალაქის ბაღისა და ლადიძის მუდმივნი წევრნი.

ჭიათურა. მობრძანდა ჩვენთან ჩვენი დიდი მებრძოლი. სადგურზე პურმარილით მიეგება რიცხვმრავალი დეპუტაცია კარპეს მეთაურობით; გრძნობით სავსე სიტყვა მოახსენეს. რა გაეწყობა, დიდებულო მოღვაწეო,—სთქვა ორატორმა,—ხშირად მიდი-მოდიხარ, ბევრი ჩექმაც გაცვითე, სიტყვაც ბევრი დახარჯე, მაგრამ ყოველმავე ამაოდ ჩაგიარა: არსით ფული, არსით მადლობა. მაგრამ გული არ გაგიტყდეს; შენი სახელი და შავი-ქვა მარადის განუყრელი იქნება. შენ თავიანი კაცი ხარ (თუმცა ბოროტი ენები ამბობენ — შიგ არა ჰყრია-რაო, მაგრამ რას დასდევ: ვინც რა უნდა სთქვას, წისქვილმა-კი ჰფქვას), ხან „ბაქო“-საკენ გაემგზავრე „ვიზიტითა“, ხან ქუთაისისაკენ და დარდი გაიქარვე; მადლობა უფალს, ჯერ ფეხიც გიჭრის და ენაცაო. ორატორი ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვეს.

შუა-ბაზარი. ერთის დიპიანის ქარვასლიდან ქართველი მეეზოვე დაითხოვეს. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მიზეზი მისი დათხოვნისა მისი ქართველობა იყო. აღას ეთქვა,—მე, შვილოსა, ზეითუნელ კროას თუ ვენდობი, თორემ სხვას ვერავისაო.

ქუთაისი. ღილღილის კუპეწი ფარნა გაბუნია ვირის აბანოში ჩააბრძანეს,— გულკეთილი და ხელ-მარცხი კაცი ხარ, ეს აბანო დაგამშვიდებსო.

კიეჯრის ქუჩა. მცოდნეთა შორის კილოკავად ლაპარაკობენ მეორე სათავად-აზნაურო სტატისტიკოსის თანამდებობის დაარსებაზე. ამ ახალმა სტატისტიკოსმა უნდა ისარგებლოს ტფილისის თავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს საქმეებით, გუბერნიისა და მაზრის მარშლების და პირველ სტატისტიკოსის ცნობებით და გამოიკვლიოს—რამდენად დავალიანდება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა მათ მამულთა ვალების ასანუსხავად დანიშნულ სტატისტიკოსისათვის ორიათას-ხუთას მანეთის ყოველ წლიურად გაღებით.

განცხადება.

ამით ვაცხადებ, რომ ამა თვის 25-დგან დაკეტილი გვექნება ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფასებელ კომისიის კანცელარიის კარები. საქმის გასინჯვა ან პირადად მოლაპარაკება თუ ვისმე ჰსურს, უნდა „გვიდაკლადონ“; მთხოვნელთაგან ვისი ფოთრეთიც მომეწონება, მხოლოდ იმათ ვინახულებ.

პატივისცემით დამფასებელ კომისიის სეკლატარი. (60—6—1)

დროებითი რედაქტორ-გამომცემელი
გოგია სიკინჭილაძე.

სამართლით გარჩეულიყოს, და თუ იგი დაამტკიცებდა თავის მოყვანილ სიტყვებს „ივერიის“ № 216-ში, მაშინ მე გადავიხდიდი „ქარ. შორ. წერა-კითხ. საზოგადოების“ სასარგებლოდ 25 მან. და თუ ვერ დაამტკიცებდა, მაშინ იმას უნდა გადაეხადნა. ჩემის მხრით დავასახელე მედიატორებად ბ. ი. ა ზარათიშვილი და ე. დანდუროვი.

ეხლა „ივერიის“ № 133-ში ბ-ნი ელიაშვილი ხმარობს აბლაკატურს ხრიკებს; ვითომ და თავის თავის გასამართლებლად და ბრძანებს:

„კვალის“ მე-17 №-ში კვლავ უძღვნია ჩვენთვის წერილი და გვირჩევს, რომ ჩვენში ატეხილი დავა თელავის ბიბლიოთეკის შესახებ სამედიატორო სამართლით გავათავოთო. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ჩვენ ვაახელით კაცი ბ-ნ აჯამამუდოვს, რათა თანხმობა განეცხადებინა სამედიატორო სამართალზედ, მაგრამ იმისი კვალი უკვე გამქრალიყო. ზოგმა გვითხრა, ქალაქს წავიდაო ზოგმა—კავკავსაო! აი სწორედ ამაზედ იტყვიან: „ჩემი არ გითხრა გული რით დაგწვაო“. სრული ერთი თვე ვიცხოვრე თელავში მას შემდეგ, რაც მე ის სამედიატორო სამართალში გამოვიწვიე „კვალის“ საშუალებით. და თუ „კაცის ხლება“ სურდა, ერთი თვე საკმარისი არ იყო რომ მისგან გამოგზავნილ კაცს ჩემი კვალი მოეგნო.

ბ-ნ ელიაშვილმა მაახლა კაცი „თანხმობის განსაცხადებლად“? ეს მარტო ელიაშვილმა უწყის და სხვამ არავინ. და მე-კი, როცა არავითარი პასუხი არა მქონდა ბ-ნ ელიაშვილისაგან, თვით მე ვთხოვე ჩემგნით დასახელებულ მოსამართლეს, ბ-ნ ი. ზარათიშვილს, გამოლაპარაკებოდა ბ-ნ ელიაშვილს. და შეეტყო მიზეზი ამდენი ხნის გაჩუმებისა.

რაც შეეხება ბ-ნ ელიაშვილისაგან დასახელებულს მოსამართლეს, ეს ის გამოვა, რომ ბ-ნ ელიაშვილს თავის თავი დაესახელებინა ჩვენ გასამართლებლად. რადგანაც ერთი მათგანი ისეთივე მონაწილე იყო ატეხილ დავაში, როგორც თვით ბ-ნი ელიაშვილი, ამიტომ, თუ გვინდა, რომ საქმე სავსებით და სისწორით გამოირკვეს, წესიერება მოითხოვს, ის პირნი დავასახელოთ მოსამართლეებად, რომელთაც არავითარი ფაქტიური მონაწილეობა არ მიუღიათ ჩვენ დავაში.

მ აჯიმამუდოვი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

25 ივლისი.

პეტერბურგი. 25 ივლისს კრონშტადტში დაათვალიერეს ხელმწიფე იმპერატორმა, დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა და ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, საბერძნეთის დედოფალმა, ხელმწიფე მემკვიდრემ და დიდმა მთავრებმა ის გემები, რომელნიც მიემგზავრებიან საზღვარ-გარეთ.

სოფია. კროდსკის ახლო ველეს-სალონიკის რკინის გზის ლიანდაგი აჰყარეს და რელსები წაიღეს. სალონიკსა და ბიტოლიას შორის მგზავრობა შეუძლებელია. აღმოსავლეთ რკინის გზათა მმართველობამ რევოლიუციონერა კომიტეტისაგან ბრძანება მიიღო, რომ მატარებელთა მიმოსვლა შეაჩერონ. რუმელიფაშა ჯარით ბიტოლიისკენ გაეშურა. სარევოლიუციო მოძრაობის მახლობელი მიზეზი ის არის, რომ მცხოვრებთ შენიშნეს, განსულების გამოძიებამ ნაყოფი ვერ გამოიღო; თუმცა ზოგიერთი დაპატიმრებულთაგანი გაათავისუფლეს, მაგრამ უფრო მეტი ხელ ახლად დატუსაღესო.

სტამბოლი. ოსმანეთის საწინააღმდეგო და საშიშ ცნობათა მიღებამ მაკედონელ კომიტეტის სარევოლიუციო მოქმედების შესახებ პირველ ხანად შეაშფოთა პორტა და დიპლომატიის წარმომადგენელნი, ფიქრობენ, კომიტეტების მოძრაობას ამ ხანათ ის აზრი აქვს, რომ სახელმწიფოები ჩაერივნენ საქმეშიო. ძალიან საშიშია ის გარემოება, რომ ზოგიერთს ადგილებში მეტად აღელვებული მაჰმადიანი მცხოვრებნი ემზადებიან საშაგიერო სისხლის აღებისთვის, თუ კომიტეტების მოქმედება იმ ზომამდის მივაო; ეს, რასაკვირველია, საზოგადო საქმის მდგომარეობას გაამწვავებს და სახიფათო შედეგი მოჰყვება. იმ მოხსენებაში, რომელიც პორტამ გადასცა რუსეთის და ავსტრია-უნგრეთის ელჩებს, ნათქვამია, ჯუფთის უფროსი იოვანე ენიდენის კაზაში ბოლგარელებს აგულიანებს აჯანყებლადაო. მონასტერის ახლო სოფ. ილიჯაში იპოვეს რევოლიუციონერთა დოკუმენტები, რომელშიაც დაწვრილებით არის ნაჩვენები ორგანიზაცია აჯანყებისა და ყველა ტელეგრაფების წახდენისა და იმისი, თუ როგორ დაეხოცათ პირველ დამესვე ყველა მაჰმადიანნი, ბერძნები და ჯარის-კაცები, რომ ევროპის ყურადღება დაემსახურებინათ. ახლო ხანში 15 ბულგარიის აფიცერი გაემგზავრა რესკაში, რომ იკისრონ ჯუფთების სარდლობა. ხილმი ფაშა იტყობინება, რომ 200 კაცი სკოლის მასწავლებელთა მოროჩევისა და ცაპალინგის მეთაურობით ემზადება შტიპსა, კირჩევოს და კუმანოვს თავსდასცემათ. გუშინ სხვა-და-სხვა ადგილას დაწვეს უანები. 60 კაცი დაეცა სოფ. ესკისა და იმავე სახელის სადგურს. სოფ. ბიუხლიუხტეს მცხოვრებნი გაიქცნენ, ოჯახობანი-კი დასტოვეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეზობელი სოფლებიც მათ მაგალითს მიჰბაძავენ. შეამბოხენი დაეცნენ მაჰმადიანთა სოფლებს დეილინჯეს და კამმას პრილეპის კაზაში და ცეცხლი მოუკიდეს. მცხოვრებნი რამდენსამე ადგილას ებრძვიან მათ. წინააღმდეგ ტელეგრაფი სულ აშლილია. კირჩევს აჯანყებულთ დაანგრიეს ტელეგრაფის სადგური; 50 ჯარის კაცი აჰკუწეს; ზოგიერთს სოფლებს ცეცხლი წაუკიდეს. პრილეპის მთებშია ერთი ჯუფთია, რომელიც აპირობს თავს დაესხას ქალაქს. ყველგან შესაფერი ღონის ძიებაა მიღებული უწესოების წინააღმდეგ.—არზრუმიდან მოვიდა შესაშფოთებელი მოხსენებანი კონსულებისა, რომ ქურთების სხვა-და-სხვა ტომნი აპირობენ კვლავ თავს დაესხან სომხებს და წაართვან მამულებიო.

სოფია. სტამბოლიდგან მოსული ცნობანი ამოწმებს იმ ხმას, რომ აჯანყება მონასტრის ვილაეტშია გაძლიერებული. მიღებულია ღონისძიებანი, რომ ასე თუ ისე დათრგუნვილ იქნას უწესოება. აჯანყების საქმეს განაგებს დროებითი მთავრობა ლემიან გრუევის თავსმჯდომარეობით და სარაფოვის წევრობით. ბოლგარიის მთავრობამ გარდასწყვიტა ჯერ-ჯერობ-თ განზედ იყოს და უცადოს, რა იქნება შემდეგ. მთავარ-მინისტრი ჰნახეს ოსმალეთის კომისარმა და უცხოეთის კონსულებმა. პეტროვმა უთხრა, რომ აჯანყება შედეგია ადგილობრივ მიზეზებისა, ბოლგარიის სამზღვართაგან შორს სწარმოებს და მისთვის პასუხის-გება ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელთ ეკებათ კისრადაო. მთავრობას კაცებს იმედი აქვთ, რომ ოსმალეთი უმწეევრვალესობასა და ხალხის ამოწყვეტას არ იკისრებს; იმედი აქვთ, რომ დიდხი სახელმწიფოები არ მისცემენ ნებას ოსმალთა მეტის მეტი რამ მოიქმედონ. აჯანყების ამტეხათ სთვლიან ბორის სარაფოვს. ბულგართა პოლიტიკის ხელმძღვანელთ ეჭვი აქვთ, რომ აჯანყება მეტის-მეტად გაძლიერდეს.

26 ივლისი

სტამბოლი. გარეშე საქმეთა მინისტრმა დაარწმუნა რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ელჩები,—უმთავრესი ყურადღება პორტასი მიქცეულია იმაზედ, რომ გაბოროტებულ და აღელვებულ მაჰმადიან მცხოვრებთ უწესოება არა მოახდინონ-რაო. სხვა-და-სხვა ხმები ცხადჰყოფს, რომ ამ ბოლოს დროს მაკედონელთა და სომეხთა კომიტეტები შეთანხმებულან და ქურთ-სომეხთა ვილაიეტების ფრიად გაჭირვებულის მდგომარეობით სარგებლობენ, რომ გამოიწვიონ საზოგადო მოუსვენრობა და ახალი დაბრკოლება აღმოუჩინონ პორტას. ინგლისისა და რუსეთის მეგობრულ წინადადებაზედ, პორტამ უპასუხა, რომ საქმეთა მდგომარეობა არავითარ შემთხვევაში საშიშს არას წარმოადგენსო. ცნობა, ვითომც ფეხოსანთა ქურთებს 2,000 თოფი დაურიგესო ტყუილია. ტყუილია აგრეთვე ის ცნობაც, ვითომც ჯარის გადაყვან-გადმოყვანა მოეხდინოთ. რამდენადაც ცნობები ნებას გვაძლევს ვიქონიოთ მსჯელობა კვირიდგან დაწყებულ მაკედონელთა მოძრაობის შესახებ, აქამდის ჯუფთები ჰმოქმედებენ მხოლოდ სამს ადგილას: პირველად უსკიუბის ვილაიეტის ჩრდილოეთ მაზრებში და მესამედ—მონასტირის მიდამოების სამხრეთ დასავლეთად.

სტამბოლი. ბულგარიის გავლენიან კაცთა შორის უარჰყოფენ იმ ცნობას, ვითომც ამ ბოლოს დროს რომელიღაც ჯუფთი ბულგარიიდგან ოსმალეთის ტერიტორიაზედ გადასულიყოს.

პეკინი. გუშინ დააპატიმრეს ხუთი მომხრე ჩინეთის სარეფორმო დასისა; მათ შორის გუბახის შეფე-მთადგილის ძმაც ურევია. პოლიციის უჭირავს ქალაქის ყველა ალაყაფის კარები, რათა საეჭვო პირები არ გაიქცნენ.

ბელგრადი. მუშათა კრებაზე, რომელზედაც 500-მდე კაცი დაესწრო, დაადგინეს—დაარსებულ იქმნას სოციალური დასი. პოლიტიკოსები ამ ამბავს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ.

ყოფილი პრეფექტი მორჩიჩანინი აცხადებს, რომ მეფის ტრაგიკულ სიკვდილამდე ორის დღის წინად ალექსანდრემ წერილი მიიღო დედოფალ ნატალიასაგან, რომელიც თხოულობდა, გაეყარე დრაგას 15 დღის განმავლობაში, რადგან, თუ ასე არ მოიქცევი დრაგასთან ერთად მოჰკვდებიო.

პეტერბურგის ბირჟა, 25 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში.	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,32½
ლონდონში ჩეკები.	94,45
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი.	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა.	99⅝ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	107 წვ. გაყ.
4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულთ ბანკის	95⅛ მყიდ?
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	445 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	342½ წვ. მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	291 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	94¾
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	92½ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	3850 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	399 წვ გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	195½ წვ. გაყ.

გამოსადეგი ცნობა.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა	11 კ.
2 „	8
3 „	6
სუკი	15
ცხვრის ხორცი	10
კამეჩისა	7
ღორისა	
1 ხარისხის (საკატლეტე)	11
2 „ (ბარძაყი)	10
3 „ (დანარჩენი ნაწილი, გატყავებული)	8

ნიხრი პურისა:

თორნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5 კ.
2 „	3½
3 „	3 „

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, ქალთა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

გამოვიდა და იყიდება ყველგან

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა ლომაურისა, ფასი 10 კაპ.

წიგნების გაგზავნა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

საწყობი ქაღალდის

მოსკოვი 1882 წ.

დიტიატკოვსკის ამხანაგობის

ნოვოგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6—18)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ან-გარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1903—1904 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით.** 5 **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და ხნოიანი** (исправленіе дурного почерка)

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ოგრიდოხოვისა, № 9, სერგიევისა დ ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს,** ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მანქანაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე. (25—160—22)

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 ივლისისა 1903 წლისა.

აქტივი.

	მან.	კაპ.
I. კასა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები).	17219	63
II. მიმდინარე ანგარიში: კერძო საკრ. დაწესებ.	44369	20
III. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ.	1000	—
IV. სარგებლიანი ქაღალ. სამეურნეობის საკუთრებანი:		
ა) უზრუნველ-ყოფილნი: . 1591—76		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი: 7927—	9518	76
V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთრებანი.	7283	19
VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორის კაცის არა ნაკლებს უჭირავ ხელი.	303655	06
VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით	500	—
VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები	1722	01
IX. გირაოთი გაცემული სესხი:		
ა) სახელმწიფო და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . 15883—		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 33976—		
გ) საქონელზედ . 16332—91		
დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ. 5764—	71955	91
X. დასაბრუნებელი ხარჯი.	116	25
XI. მოწყობა და მომარაგება	2068	44
XII. კორესპონდენტები:		
ა) იმათის ანგარიშით (loro) 84515—87		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 32624—62	117140	49
XIII. გერბის გადასახადი და თამასუქის ქაღ.	238	70
XIV. სხვა-და-სხვა დებიტორები	408	60
XV. მიმდინარე ხარჯები.	8374	86
ბალანსი	585571	10

პასივი.

	მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 812 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხუთი ფულის 10%-განა.	91127	-
II. სათადარიგო თანხა	8313	38
III. შემოტანილი ფული:		
ა) მიმდინარე ანგარიშით . 203016—77		
ბ) ვადით . 130752—76		
გ) უვადოთ . 3500—	337269	53
IV. გადასახდელი თანხა.	1832	96
V. გარდასასცემი სარგებელი	2261	92
VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა	311	70
VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად	556	—
VIII. კორესპონდენტები:		
ა) იმათის ანგარიშით (loro) 50512—38		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 44697—98	95210	36
IX. ვექსილები გადაგზავნილი ტფ. სახელ. ბანკის განყოფ.	30000	—
X. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა.	3038	89
XI. წაუღებელი დივიდენდი 1902 წლისა	2420	95
XII. მიღებული სარგებელი	13128	41
XIII. მოგება მე ხარჯი 1903 წლისა	100	—
ბალანსი.	585571	10
პასუხის-მგებლობა 812 წევრისა 10%-იან შემოტანილ გარდ.	820143	—
საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება	11200	—
თამასუქები საკომისიოდ.	5156	90

Дозволено цензурою. Тифлисъ. 26 іюля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе). Груз. Товарищ. დროებით-რედაქტორი ბ. ჯიქია, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.